



**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
ფიზიოლოგიის დეპარტამენტი
(მოკლე ისტორიული ექსკურსი)**

თბილისის უნივერსიტეტში 1919 წლის იანვარში დაარსდა ნორმალური ფიზიოლოგიის საუნივერსიტეტო კათედრა, რომელიც ემსახურებოდა უნივერსიტეტის ყველა იმ ფაკულტეტს, რომელზეც ფიზიოლოგია ისწავლებოდა. მისი პირველი გამგე იყო პროფესორი ვარლამ მოსეშვილი. 1919 წლის შემოდგომიდან კათედრას განაგებდა პროფესორი ივანე ბერიტაშვილი, რომელიც კათედრის გამგედ ჯერ კიდევ ოდესაში მუშაობის დროს - 1919 წელს აირჩიეს. 1925 წლის 12 დეკემბერს სამკურნალო ფაკულტეტმა დააარსა ცალკე ფიზიოლოგიის კათედრა, რომლის გამგედ დაინიშნა პროფესორი ვ. მოსეშვილი.

საუნივერსიტეტო კათედრის გამგეები იყვნენ: პროფესორი ვარლამ მოსეშვილი (1919), პროფესორი ივანე ბერიტაშვილი (1919-1926), საფაკულტეტო კათედრისა - პროფესორი ვარლამ მოსეშვილი (1926-1929). ამ კათედრის ხელმძღვანელები შემდგომ იყვნენ: პროფესორი გიორგი ვაწაძე (1929-1945), მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი ალექსანდრე ბაკურაძე (1945-1985), მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი არჩილ ასათიანი (1985-2004).

კათედრაზე 1919-1930 მუშაობდნენ: პროფესორი ვალერიან მოსეშვილი, პროფესორი ივანე ბერიტაშვილი; ასისტენტებად - ბორის ანთელიძე, ალექსანდრე ბაკურაძე, დიმიტრი გედევანიშვილი, სერგო ნარიკაშვილი, სალომე კლიმიაშვილი.

1930-1960 წლებში კათედრაზე და მომდევნო პერიოდში კათედრაზე მუშაობდნენ: პროფესორები გიორგი ვაწაძე, ალექსანდრე ბაკურაძე, დიმიტრი გედევანიშვილი; დოცენტები - ნინო ბებურიშვილი, ო. გელაშვილი, ა. ფანცხავა, გივი ვეფხვაძე; ასისტენტები - არჩილ ასათიანი (შემდეგ - დოცენტი, პროფესორი, კათედრის გამგე,

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი), მეგი დათეშიძე (შემდეგ - დოცენტი), ნადეჟდა სალუქვაძე, თინა ნიკოლაევა (შემდეგ - დოცენტი), გიორგი მირზიაშვილი, გურამ ბექაია (ამჟამად - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი, პროფესორი), ნინო მაისურაძე, ავთანდილ აბესაძე, თინათინ მხეიძე.

ფიზიოლოგიის კათედრის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირითადი მიმართულება წლების განმავლობაში იყო ორგანიზმის კვებითი მოქმედების ნეიროჰუმორული მექანიზმების შესწავლა. დადგენილი იქნა, რომ კვებითი მოქმედება რეგულირდება თავის ტვინის სხვადასხვა სტრუქტურით - ღეროვანი ნაწილებიდან ჰემისფეროების ქერქამდე. მათ შორის მნიშვნელოვანი ფუნქციური კორელაციები კი საკვების მიღების მომენტიდანვე მყარდება და საკვების მონელების პროცესის განმავლობაში გრძელდება. ამ მიმართულებით ფუნდამენტური, მაღალი სამეცნიერო ღირებულების მქონე შრომების ავტორები ბრძანდებიან ბატონი ალექსანდრე ბაკურაძე და ბატონი არჩილ ასათიანი - საქართველოს ფიზიოლოგიის კორიფეები; მათ ბიძგი მისცეს სამეცნიერო კვლევას ამ სფეროში არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოში; მათი შრომების სამეცნიერო რენომე დღესაც მაღალია.

მოგვიანებით გამოკვლევების ციკლი პროფესორ არჩილ ასათიანის და პროფესორ ირინე კვაჭაძის ხელმძღვანელობით მიედგინა ადამიანის ორგანიზმის ჯანმრთელობის სომატური და მენტალური პარამეტრების მართვისა და შრომისუნარიანობის გაზრდის საშუალებების ძიებას, „ნორმისა“ და „პათოლოგიის“ ცნებების დიაპაზონის განსაზღვრას ჰომეოკინეზის ფარგლებში, ორგანიზმის ფიზიოლოგიური სისტემების ურთიერთთანამოქმედების შესწავლას. ამ მიმართულებით განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ქალის ორგანიზმი, რადგან მისი მრავალი ფიზიოლოგიური სპეციფიკა, პირველ რიგში კი - სასქესო ჰორმონული ბალანსის ყოველთვიური ფლუქტუაცია, განსაზღვრავს ორგანიზმის ადეკვატური ადაპტაციის უნარს.

კათედრის პედაგოგიური პერსონალი 1998 წელს: პროფესორი არჩილ ასათიანი - კათედრის გამგე, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ირინე კვაჭაძე, დოცენტები ნაილი ჩიხორია და გურამ სანადირაძე, უფროსი მასწავლებელი ცეცილია სოხაძე, ასისტენტები ალექსი ანდღულაძე, ლალი მოღებაძე, ლია რუსიძე, მარინე ქუთათელაძე, ლაურა ცხადაძე.

2004 წლიდან ჯერ ფიზიოლოგიის კათედრის, შემდეგ კი ფიზიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელია პროფესორი ირინე კვაჭაძე. 2006 წელს ნორმალური ფიზიოლოგიის კათედრა გარდაიქმნა „ფიზიოლოგიის მიმართულებად“, მან „ფიზიკის და ბიოფიზიკის მიმართულებასთან“ ერთად შეადგინა „ფიზიოლოგიის დეპარტამენტი“, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა პროფესორი ირინე კვაჭაძე.

2006 წლიდან ფიზიოლოგიის დეპარტამენტი დამოუკიდებელი სასწავლო სტრუქტურული ერთეულის სახით ფუნქციონირებს; ჩართულია აკადემიურ პროცესში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ყველა ერთსაფეხურიან და საბაკალავრო, ასევე, ორ სამაგისტრო და რამდენიმე სადოქტორო კვლევის პროგრამაში.

2007 წელს დეპარტამენტში გაერთიანდა ყოფილი სპორტის აკადემიის ფიზიოლოგიის კათედრა, რომლის ხელმძღვანელი პროფესორი დურმიშხან ჩიტაშვილი და წევრები ხელშეკრულებით მოწვეული პედაგოგების სტატუსით ჩართული იყვნენ აკადემიურ პროცესში ფიზიკური მედიცინის და რებილიტაციის ფაკულტეტის სტუდენტებთან.

ფიზიკისა და ბიოფიზიკის მიმართულებასთან თანამშრომლობამ ბიძგი მისცა რამდენიმე კვლევით პროექტს, რომლებიც დღესაც გრძელდება. კერძოდ, ფიზიოლოგიის

დეპარტამენტის მკვლევართა ჯგუფი პროფ. იკვაჭაძის და ალ. ციბაძის ხელმძღვანელობით აგრძელებს გარემო ფაქტორების (გეომაგნიტური, ბგერითი და სენსორული ზემოქმედებანი) გავლენის კვლევას ქალისა და მამაკაცის ორგანიზმზე, მუშავდება ერთობლივი გრძელვადიანი დაფინანსებული სამეცნიერო პროექტი პარტნიორი უნივერსიტეტების მეცნიერებთან ერთად.

ფიზიოლოგიის დეპარტამენტის კვებით ინტერესს დღეს, ძირითადად, ტკივილის ფიზიოლოგიის მექანიზმების კვლევა შეადგენს, რაშიც აქტიურადაა ჩართული ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის ტკივილისა და ანალგეზიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, პროფესორი მერაბ ცაგარელი, დეპარტამენტის მოწვეული მასწავლებელი. ამ მიმართულებით პროფესორ ირინე კვაჭაძის და მერაბ ცაგარელის ხელმძღვანელობით ორი სადოქტორო კვლევა სრულდება:

- **“ტკივილის შეგრძნების ინდივიდუალური და გენდერული განსხვავებათა შეფასება”** – დოქტორანტი მარტა აფხაზავაა,

- **“ოპიოიდური და კანაბინოიდური სისტემების როლი ტკივილი მოდულაციაში თავის ტვინის ლიმბურ სტრუქტურებში”** – დოქტორანტი ნათია ცაგარელია.

2006 წელს პროფ. ირინე კვაჭაძის რედაქციით და დეპარტამენტის პერსონალის ძალეობით შემუშავდა და გამოიცა პრაქტიკულად პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელო ადამიანის ფიზიოლოგიაში მომავალი ექიმებისათვის, რაც ამ თვალსაზრისით რამდენიმე ათეულწლიანი ვაკუუმის შევსების პირველი მცდელობა იყო. 2008 წელს სახელმძღვანელოს მეორე, განახლებული და შევსებული გამოცემა გამოვიდა, ხოლო 2009 წელს, მოგვიანებით – 2013 წელს გამოიცა ახალი ფორმატის სახელმძღვანელო - „ადამიანის ფიზიოლოგიის საფუძვლები“. აღსანიშნავია, რომ 2009 წელს სახელმძღვანელო „ადამიანის ფიზიოლოგია“ სტუდენტთა მიერ საუკეთესო სახელმძღვანელოდ იქნა მიჩნეული, ხოლო პროფ. იკვაჭაძეს - როგორც ამ სახელმძღვანელოს ავტორს - სათანადო დიპლომი გადაეცა. 2014 წელს ამ სახელმძღვანელოს ახალი, შევსებული და გადამუშავებული ვერსია გამოიცა, ამჯერად უკვე მეხუთე გამოცემა მზადდება.

ფიზიოლოგიის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი ამჟამად: დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი ირინე კვაჭაძე, ასოცირებული პროფესორები გურამ სანადირაძე, გიორგი ჭიჭინაძე, ზაზა დუმბაძე, ასისტენტ-პროფესორები დარეჯან მუავანაძე, მარინე ქუთათელაძე, თამარ გიორგობიანი. მოწვეული მასწავლებლები ბრძანდებიან: დოცენტი ნაილი ჩიხორია, მერაბ ცაგარელი, ლაურა ცხადაძე, ლიანა კაკიაშვილი, ქეთევან ებრაღიძე, ნინო თეზელაშვილი, ერეკლე ასპანიძე. ლაბორანტები ბრძანდებიან ხათუნა ძმანაშვილი და მარინე გოგელია.